

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კინო-ტელე ოპერატორი
საფეხური	ბაკალავრიატი
სწავლების ენა	ქართული
მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>კინო-ტელე ფაკულტეტებზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა გაიაროს შემოქმედებითი კონკურსი და შემდეგ წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ერთ-ერთი უცხო ენა</p> <p>საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნის: ისტორია / მათემატიკა /სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება / ლიტერატურა ჩაბარება.</p>
პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დანიშნულებას და მისიას - ხელოვნების დარგების განვითარებას და კვლევას. პროგრამის მიზანია მოამზადოს ტელე-კინო ოპერატორის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც დარგობრივი/პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციები. პროგრამის მიზანია, შრომის ბაზარი მოამზადოს ტელე-კინო ოპერატორი საფუძვლების, მომიჯნავე პროფესიების და ხელოვნების დარგების საბაზისო ცოდნის მქონე პროფესიონალი, რომლებიც კინო და სატელევიზიო სფეროში შეძლებენ პრაქტიკულ-შემოქმედებით საქმიანობას, გადამღებ ჯგუფთან მუშაობას, სარეჟისორო ხედვის შესაბამისი ვიზუალური სტრუქტურის აგებას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფილურ დასაქმებას.</p> <p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა იცოდნენ: ტელე-კინო ოპერატორი ოსტატობის საფუძვლები, კინოსა და მედია სივრცეში მუშაობის პრინციპები, მომიჯნავე დარგის კინოხელოვნების და მასში შემავალი პროფესიების სპეციფიკური ნიშნები და მახასიათებლები, ციფრული და თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები, რომელთა გამოყენებით შეძლებენ მაღალმხატვრული ვიზუალური პროდუქტის შექმნას.</p> <p>პროგრამის მიზანია მიღებული ცოდნის საფუძველზე პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ანალიტიკური</p>

	<p>აზროვნების უნარის ჩამოყალიბება; კრეატიული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადება. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დანიშნულებას და მისიას-ხელოვნების დარგების განვითარებას და კვლევას. პროგრამის მიზანია მოამზადოს ტელე-კინო ოპერატორის კვალიფიკაციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც დარგობრივი/პროფესიული ისე ზოგადი კომპეტენციები.</p>
<p><b>შეფასების სისტემა</b></p>	<p>I. დასწრება – ჩართულობა მაქსიმუმ -15 ქულა  II შემოქმედებითი აქტივობა/დავალებები - მაქსიმუმ 25 ქულა  III შუალედური შემოწმება - მაქსიმუმ 20 ქულა  IV ფინალური გამოცდა -მაქსიმუმ 40 ქულა  V საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p>განსაზღვრავს კინო და ტელე ოპერატორის მუშაობის სპეციფიკის ერთიან და განმასხვავებელ ნიშნებს და მახასიათებლებს, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს, რომელიც მოიცავს თეორიებისა და მეთოდოლოგიების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით განიხილავს კინო-ტელე და მასთან მონათესავე ხელოვნების დარგების სპეციფიკურ ნიშნებს და მახასიათებლებს, პროფესიის საფუძვლებს. იცის გადაღების ტექნიკის, ტექნოლოგიების პარამეტრები, შესაძლებლობები.</p> <p>აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების და მასთან მონათესავე დარგების ისტორიის განვითარების გზებსა და ძირითად ტენდენციებს, თეორიულ მოსაზრებებს.</p> <p>რეჟისორის/ავტორის შემოქმედებითი კონცეფციიდან გამომდინარე აგებს ვიზუალურ სტრუქტურას, რისთვისაც განსაზღვრავს და იყენებს გადაღების სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ექსტრემალურ გარემოში გეგმავს და ხელმძღვანელობს მასზე დაქვემდებარებულ საოპერატორო/გადამღებ ჯგუფის მუშაობის გრაფიკს, პრინციპებს. აუდიოვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნით ქმნის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p> <p>დამოუკიდებლად წარმართავს და აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, არაპროგნოზირებად გარემოში გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს.</p>

დასაქმების სფერო	კინემატოგრაფი/ტელევიზია (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ნებისმიერი ჟანრის ფილმი, შემოქმედებითი პროექტი და სხვ.ფილმის და სხვა ვიზუალური პროდუქტის შექმნა); კინოწარმოება; ტელე/მედია ინდუსტრია, სახელოვნებო პროფილის დაწესებულებები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კინო-ტელე ლაბორატორიები; სარეკლამო სამსახურები და სხვ.
პროგრამის ხელმძღვანელი	დავით გუჯაბიძე, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საკონტაქტო პირი	kinotvaxisxi@tafu.edu.ge
სასწავლო კურსები	სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეისწავლის საოპერატორო ხელოვნებას, კინორეჟისურის საფუძვლებს, კინოდარმატურგიას, ფოტოგრაფიას, ხმის რეჟისურას, ციფრულ მონტაჟს კომპიუტერული(ციფრული) მონტაჟს, ასევე მსოფლიო და ქართული კინოს ისტორია, სახვითი ხელოვნების ,მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას აკადემიური და გამოყენებითი მუსიკას და სხვა საგნებს.